პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

KOMUNISTI—

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

1975 კვირა 12 იანვარი № 10 (16136) ფასი 2 კაპ. 1975

ალექსი ალექსანდრეს-ძე გუბარევი.

გიორგი მიხეილის-ძე გრეჩკო.

## სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

# 1975 წელს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გაფართოებისა და მეცხრე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის სოფლის მეურნეობის მუშაკთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ

კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები, სოფლის უფროსა მშრომელნი დიდი აღფრთოვანებით იბრძვიან სკკპ XXIV ყრილობის გადწყვეტილებების, მის მიერ შემუშავებული სოფლის მეურნეობის განვითარების კომპლექსური პროგრამის განხორციელებისათვის.

1974 წლის ამინდის რთულ პირობებში ბევრმა რესპუბლიკამ, მხარემ, ოლქმა, კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ მოიწია და აიღო მარცვლეულის, ბამბისა და მთელი რიგი სხვა კულტურების კარგი მოსავალი, გაიზარდა ხორცის, რძის, კვერცხის წარმოება, გადაჭარბებით შესრულებულია სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის გეგმა.

ამ შედეგების მიღწევაში დიდი როლი შეასრულა ფართოდ გაშლილმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ, სოფლის მშრომელთა გაზრდილმა ოსტატობამ, საქმისადმი შემოქმედებითმა დამოკიდებულებამ. პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციებისა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მიზანსწრაფულმა ორგანიზატორულმა და პოლიტიკურმა მუშაობამ.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1975 წლის სახელმწიფო გეგმაში, რომელიც მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის დეკემბრის პლენუმმა და დაამტკიცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ, დასახულია პასუხსაგები ამოცანები. ამ ამოცანების წარმატებით გადაჭრა მოითხოვს კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების მუშაკნი, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების დაძაბულ შრომას, ტექნიკისა და სხვა მატერიალური რესურსების უფრო ნაყოფიერად გამოყენებას, მუშაობის მაღალ ხარისხს წარმოების ყველა უბანზე.

პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის პასუხად კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ბევრმა კოლექტივმა, წარმოების მოწინავეებმა ნოვატორებმა გამოიჩინეს ინიციატივა — გაშალონ სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება ყველა რეზერვის უკეთ გამოყენებისათვის, ხუთწლედის დამამთავრებელი წლის მარცვლეულის, ბოსტნეულის, ხილის, ბამბის, სელის, შაქრის ჭარხლის, ზეთოვანი კულტურების, ყურძნის, ჩაის ფოთლის უფრო მაღალი მოსავლის მოწევისათვის, ძრძის, ხორცისა და მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდებისა და 1975 წლის გეგმის და მთლიანად მეცხრე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, საკავშირო პროფსაბჭო და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი, რომლებიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ კოლმეურნეობა, მუშათა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა, კომუნისტთა, კომკავშირელთა, სოფლის ყველა მუშაკთა შემოქმედებითი აქტივობის შემდგომ განვითარებას, ადგენენ: მხარი დაუჭიროს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, განყოფილებების, ბრიგადების, თითო რმების კოლექტივების. მოწინავე მუშებისა და კოლმეურნეობის ინიციატივას, რომლებმაც იკისრეს გადიდებული ვალდებულებანი, მიიღეს ხუთწლეულის დამამთავრებელი წლისათვის შემაღლები ციგმები და წამოაყენეს წინადადება გაშალონ სოფლის მეურნეობის მუშაკთა სრულიადი საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება 1975 წლის მიწათმოქმედების და მეცხოველეობის პროდუქტებზე წარმოებისა და დამზადების გადიდებისთვის, ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა, პარტიის სამხარეო, საოლქო, საოლქოთაშორისო და ოლქობრივ კომიტეტებმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო, ოლქობრივ და რაიონულმა საბჭოებმა აღმასკომებმა, პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა აამაღლონ ორგანიზატორული ოა პოლიტიკური მუშაობა შეჯიბრებულთა რიგებში სოფლის ყველა მშრომელის ჩაბმისათვის, მათი მოილი მეცადინეობა წარმართონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების შემდგომი აღმავლობისათვის, იმ ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის, რომლებიც სკკპ XXIV ყრილობამ დაგვიხატა სოფლის მეურნეობის განვითარების დარგში.

1975 წელს სოციალისტური შეჯიბრების ძირითადი შინაარსი ორდა იყოს თვითეული კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, ბრიგადის, ფერმის, რგოლის, საბჭოთა მეურნეობისა და კოლმეურნეობის თვითოული მუშაკის ბრძოლა იმისათვის, რომ დაჩქარონ პროდუქციის წარმოების ტემპი და გაათმკობესონ მისი ხარისხი, მოლიანად და გადაჭარბებით შესრულონ ხალხეშეფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიყიდვის გეგმები და ვალდებულებანი. ყოველნაირად გაამტკიცონ პროდუქციის ხარისხი და აამაღლონ წარმოების ეკონომიური ეფექტიანობა.

მიწათმოქმედებაში საჭირო მივაღწიოთ მარცვლეულის, შაქრის ჭარხლის, კარტოფილის, ხამი ბამბის, მზესუზმრისა, სელის, ხილის, ყურძნის, ბოსტნეულის, ჩაის, საკვები და სხვა კულტურების მოსავლიანობის გადიდებას, გაშალოთ მასობრივი ძიძრაობა მიწათმოქმედების მაოალი კულტურისათვის, რაციონალურად გამოვიყენოთ თვითეული მიქარი მიწა, განვახორციელოთ ნათესი ფართობების სტრუქტურის სრულყოფისა და მარცვლეულისა და შაქრის ჭარხლის ნათესების გათანრთოების, ორგანული სასუქების შეტანის მნიშვნელოვანი გადიდებისა და მინერალური სასუქების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების, წარმოებაში მოწინავე ტექნოლოგიისა და აგროტექნიკური წესების დანერგვის ღონისძიებანი.

მეცხოველეობაში — უზრუნველვყოთ ყველა სახეობის პირუტყვისა და ფრინველის პროდუქტიულობის ზრდა და მათი ხელოსნობის ზრდა. თართოდ დავნერგოთ ფერმებში პროგრესული ტექნოლოგიები. ინტენსიურად მოვაშენოთ და ვასუქოთ პირუტყვი. მივაღწიოთ საკვების უფრო ეფექტიან გამოყენებას.

პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, სასოფლო-სამეურნეო ორგანოები დღეიადან უნდა ზრდიდნენ შეჯიბრების ქმედითობას წარმოების ყველა უბანზე, ამაღლებდნენ სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა როლს სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციაში, თვითეულ სოფლის მშრომელს უნერგავდნენ მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობას სახელმწიფო გეგმისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებისათვის. გააძლიერონ მუშობა მასობრივ პროფესიათა კადრების, განსაკუთრებით მექანიზატორთა მომზადებისა და გადამზადებისათვის, უფრო ფართოდ განავითარონ დამრიგებლობა, როგორც ახალგაზრდობის აღზრდისა და პროფესიული ოსტატობის ამაღლების ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ფორმა.

მიმდინარე წელს საბჭოთა ხალხი აღნიშნავს დიდ სამამული ომში გამარჯვების 30 წლისთავს. სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, საკავშირო პროფსაბჭო და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებენ სოფლის ყველა მშრომელს ეს ისტორიული თარიღი აღნიშნონ ახალი მიღწევებით სახალხო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციისა და ეფექტიანობის ასამაღლებლად.

უზრუნველვყოთ, რომ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ფართოდ მონაწილეობდნენ:

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკები, მხარეები, ოლქები, ეროვნული ოკრუგები და რაიონები მარცვლეულის, შაქრის ჭარხლის, ყველა სხვა კულტურისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ზრდაში უფრო მაღალი მაჩვენებლების მიღწევისათვის, სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიყიდვის, სახალხო-სამეურნეო გეგმებისა და ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის;

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეოთაშორისო და სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელი სხვა საწარმოების კოლექტივები — მარცვლეულის, ბამბის, შაქრის ჭარხლის, სელის, კარტოფილის, ბოსტნეულის, ხილის, ყურძნის, ჩაის ფოთლის, ზეთოვანი კულტურების, ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლისა და მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდების უმაღლესი მაჩვენებლების მიღწევისა და სახელმწიფოსათვის მათი მიყიდვის 1975 წლის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის, სოფლის მეურნეობის კულტურების მოსავლიანობისა და პირუტყვის ფერმების ინტენსიფიკაციის ეფექტიანობის ამაღლებისათვის, პირუტყვის სულადობის გადიდებისა და მეცხოველეობის ნაკვეთით უზრუნველყოფისათვის, შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპების დაჩქარებისათვის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

განყოფილებების, უბნების, ბრიგადების, ფერმების, რგოლებისა და საამქროების კოლექტივები — რესპუბლიკაში, მხარეში, ოლქში, ეროვნულ ოკრუგში და რაიონში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებაში, წარმოების ზრდასა და შრომის ნაყოფიერების ამაღლებაში, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებასა და ხარისხის გაუმჯობესებაში ხაუკეთესო შედეგების მიღწევისათვის.

სამრეწველო საწარმოთა, შენებლობათა და ორგანიზაციათა კოლექტივები:

სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს კოლექტივები — მელიორირებული მიწების ამოქმედების გეგმების ვადამდე შესრულებისათვის, სარწყავი კულტურული ხანოვრებების შექმნისათვის, ამოსაშრობი, სარწყავი სისტემებისა და მიდრონაგებობების შეკეთებისა და ექსპლოატაციისათვის, აგრეთვე ყველა დადგენილი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლის შესრულებისათვის სამელიორაციო და სხვა ობიექტებისა და ნაგებობების მაღალხარისხოვანი დაპროექტების, შენებლობისა და რეკონსტრუქციის პირობებში;

საკავშირო ელექტროტექნიკურ კოლექტივები — მანქანებისა და მოწყობილობის დროული შეკეთებისა და მათი ტექნიკური მომსახურების გაუმჯობესებისათვის, მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ფერმების კომპლექსური მექანიზაციისათვის, ტექნიკით, მინერალური სასუქებით, ხათაბარიგო ნაწილებით და მასალებით კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების უზრუნველყოფისათვის, ავტომობილის, კულტურულ-ტექნიკური და სხვა სამუშაოებისა და მომსახურების გეგმების შესრულებისათვის. მათი მაღალი ხარისხისა და ყველა დადგენილი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლის უზრუნველყოფის პირობებში;

სსრ კავშირის დამზადების სამინისტროს კოლექტივები — სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებისა და შენახვის გეგმების შესრულებისათვის, კომბინირებული საკვებისა და სხვა პროდუქციის წარმოების გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ყველა დადგენილი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლის შესრულებისათვის;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ხატეული მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის კოლექტივები — ხატეული მეურნეობისა და სამრეწველო წარმოების ეკონომიური ეფექტიანობის მნიშვნელოვანი ამაღლებისათვის, სამუშაოთა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ხატეული ფონდის ნიწილის რაციონალური გამოყენებისათვის, ტყის სიმდიდრეთა შენარჩუნებისა და გამრავლებისათვის;

სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივები — მეცნიერული კვლევის ეფექტიანობის ამაღლებისა და წარმოებაში მეცნიერების მიღწევების და მოწინავე კამოცდილების დანერგვაში სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის დახმარების გაძლიერებისათვის და სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა გეგმების წარმატებით შესრულებისათვის;

სასოფლო-სამეურნეო პროფესიათა მუშაკები — ტრაქტორისტ-მემანქანეები, კომბაინერები, მძღოლები, ავმართველი ოსტატები, სარძევე და სასოფლო მეცხოველეობის, მეელოვნობისა და მეფრინველეობის ფერმების მუშაკები, მწყემსთა ბრიგადები, მეპარსლები, მებამბეები, მეხილეები, მეკარტოფილეები, მებოსტნეები, მეხალეები, მეჩაიეები და სხვები, აგრეთვე სამრეწველო საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაკები — შრომის უმაღლესი ნაყოფიერების მიღწევისათვის, საწარმოო დავალებათა მნიშვნელოვნად გადაჭარბებისათვის.

სოფლის მეურნეობის მუშაკთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა დაჯილდოებისათვის შენარჩუნებულ იქნას სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის 7 იანვრის № 19 დადგენილებით, მათ შორის:

ეროვნული ოკრუგებისა და რაიონებისათვის — 280;

კოლმეურნეობებისათვის, საბჭოთა მეურნეობებისათვის, სამეურნეოთაშორისო და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, აგრეთვე სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებებისათვის — 696;

სსრ კავშირის კავშირების მრეწველობის სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებისათვის — 12 და სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროსათვის — 2;

სასოფლოტექნიკის საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის — 12, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსათვის — 10, სსრ კავშირის დამზადების სამინისტროსათვის — 14, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ხატეული მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტისათვის — 6.

დაწესდეს დამატებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის 3 გარდამავალი წითელი დროშა, დიპლომები და ფულადი პრემიები სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს არაშავნიადაგიანი ზონის „მთავარწყალმშენის“ საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების დაჯილდოებისათვის.

განყოფილებების, უბნების, ბრიგადების, რგოლებისა და მეცხოველეობის ფერმების საუკეთესო კოლექტივებმა, აგრეთვე იმათი წარმატების მიზნით, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი პროფესიების მიხედვით წარმოების მოწინავეთა შეჯიბრებაში, დაწესდეს სამინისტროების (უწყებების) და პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტების 10 ათასი სამამული დიპლომი „მეცხრე ხუთწლედის წარმატებით შესრულებისათვის“, მად შორის საწარმოო ქვეგანაყოფებისათვის 3,5 ათასი და წარმოების მოწინავეებისათვის 6,5 ათასი.

დაწესდეს, რომ საწარმოო ქვეგანაყოფების კოლექტივებსა და პროფესიათა მიხედვით მოწინავეებს, რომლებიც დაჯილდოვდებიან სამამული დიპლომებით, გადაეცეს სამახსოვრო საჩუქრები.

1975 წელს გაგრძელდეს კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადების სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება, ამასთან გამარჯვებულებს გადაეცეს წითელი დროშები.

დაწესდეს, რომ კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები, სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა და ორგანიზაციათა ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები, რომლებიც მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს მიაღწევენ, დაჯილდოვდნენ ერთიანი საერთო-სავკავშირო სამკერდე ნიშნით „1975 წლის სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებული“.

გაგრძელდეს „მეცხრე ხუთწლედის დამკვრელის“ ნიშნით და საამსოოური საჩუქრით დაჯილდოება სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოწინავეებისა, რომლებიც წარმატებით შეასრულებენ ხუთწლიან დავალებებს.

მიღებულ იქნას წინადადებანი:

საკავშირო პროფსაბჭოსა — წარმოების მოწინავეთა-სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა წახალისებისათვის საბჭოთა კავშირსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში 15 ათასი შეღავათიანი ტურისტული საგზურის გამოყოფის შესახებ.

სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტისა — იმ კომკავშირულ-ახალგაზრდული კოლექტივებისა და ახალგაზრდა მუშებისა და კოლმეურნეებისათვის, რომლებიც თვალსაჩინო შედეგებს მიაღწევენ სოციალისტურ შეჯიბრებაში ლენინური კომკავშირის 50 პრემიის დაწესების შესახებ, და ახალგაზრდა სოფლის საუკეთესო მშრომელთა წახალისებისათვის 10 ათასი შეღავათიანი ტურისტული საგზურის გამოყოფის შესახებ.

ნება მიეცეთ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს, სამინისტროებსა და უწყებებს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასკომებს მთავრობის ჯილდოებზე წარადგინონ:

წარმოების მოწინავენი, ბრიგადების, განყოფილებების, უბნების, ფერმების, რგოლების, საამქროების წევრები, რომლებიც განსაკუთრებით გამოიჩენენ თავს და თვალსაჩინო შედეგებს მიაღწევენ სოციალისტურ შეჯიბრებაში, მეცხრე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის;

საუკეთესო კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა საწარმოები და ორგანიზაციები. სამოდელო დიდ წარმატებებს მიაღწევენ ყველა ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით, ეკონომიკა სამეურნეო საქმიანობის კარგი და მყარი ეკონომიური და ფინანსური მაჩვენებლები და საუკეთესო შედეგებს მოიპოვებენ შრომის ნაყოფიერების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და ხაზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდაში, ტექნიკისა და მოწყობილობის გამოყენებაში, სახალხო-სამეურნეო გეგმებისა და სოციალისტურ კალდებულებათა შესრულებაში მეცხრე ხუთწლედის შუაობის შედეგების მიხედვით.

ცენტრალური და ადგილობრივი გაზეთების, ჟურნალებისა და გამომცემლობების რედაქციებმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენამ უნდა უზრუნველყონ სოფლის მეურნეობის შუაკთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობის ფართოდ და ოპერატულად გაშუქება, ყოველმხრივ გაუწიონ პრომაგანდა რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, ეროვნული ოკრუგების, რაიონების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სოფლის მეურნეობის სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების, მათი შიდასამეურნეო ქვეგანაყოფების კოლექტივების, მოწინავეების, სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებული ნოვატორების გამოცდილებას. უფრო ხარულად უჩვენონ სპეციალისტთა როლი სოფლის მეურნეობის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და ინტენსიფიკაციის ამოცანების ხელაყვანაში, უფრო აქტიურად გაავრცელონ სოფლად სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის საუკეთესო გამოცდილება, ცხადყონ მისი როლი მასების აღზრდაში, თვითეული კოლექტივის, თვითეული მშრომელის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში.

პარტიულმა ორგანიზაციებმა ფართოდ გამოიყენონ თვალსაჩინო ავტორიტეტის საშუალებანი შრომითი კოლექტივების წინაშე მდგომი ხუთწლედის დამამთავრებელი წლის ამოცანების შესრულების მკაფიოდ და გასაგებად ჩვენებისათვის.

1975 წლისათვის შენარჩუნებულ იქნას სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამების წესი, გამარჯვებულთა წახალისების ღონისძიებანი და საშუალებათა წყაროები, რომლებიც დაწესებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის 7 იანვრის № 19 და № 28, 1974 წლის 29 ნოემბრის № 932 დადგენილებით.

სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები უნდა შეჯამდეს და გამარჯვებულები განისაზღვროს 1975 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმისა და ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების შედეგების მიხედვით, ხუთწლიან დავალებათა შესრულების გათვალისწინებით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, საკავშირო პროფსაბჭო და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ სოფლის მეურნეობის მუშაკები ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების საფუძველზე მიაღწევენ მარცვლეულის, ბამბის, შაქრის ჭარხლის, კარტოფილის, ბოსტნეულის, ხილის, ყურძნის, ჩაის, ხორცის, რძის, კვერცხისა და მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქციის წარმოების და სახელმწიფოსათვის მიყიდვის შემდგომ გადიდებას, ძალ-ღონეს არ დაიშურებენ 1975 წლის დავალებებისა და მთლიანად ხუთწლედის წარმატებით შესრულებისათვის.

## ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

# ორბიტაზეა „სოიუზ-17“ კოსმოსური ხომალდი

**დედამიწის** ირგვლივ კოსმოსური ფრენების კვლევის პროგრამის შესაბამისად 1975 წლის 11 იანვარს 0 საათსა და 43 წუთზე საბჭოთა კავშირში გაუშვეს „სოიუზ-17“ კოსმოსური ხომალდი.

კოსმოსურ ხომალდს, რომელიც გაყვანილია დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის გაანგარიშებულ ორბიტაზე, მართავს ეკიპაჟი, რომლის შემადგენლობაში შედიან ხომალდის მეთაური პო

# ოქტომბერი სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

10 იანვარს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ა. პ. კირილენკოს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კაანდიდატის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ბ. ნ. პონომარიოვის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგის მოადგილის ვ. ს. შაპოშნიკოვის შეხვედრა ურუგვაის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან რ. არისმენდიანთან.

საუბრის დროს რ. არისმენდიმ დიდი მადლობა გადაუხადა საბჭოთა ხალხს, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს ურუგვაის კომუნისტებთან და ყველა დემოკრატთან ერთად პროლეტარული სოლიდარობისთვის და, კერძოდ, ურუგვაის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში ქმედითი დახმარებისათვის. რ. არისმენდიმ ხაზი გაუსვა, რომ რეაქციისა და მისი მხარდამჭერი იმპერიალიზმის კონტრშეტევის მიუხედავად, ლათინური ამერიკის ქვეყნებში გრძელდება ფაშიზმის, რეაქციისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ, კონტინენტის ქვეყნების ხალხთა სრული ეკონომიური და სოციალური განთავისუფლებისათვის მებრძოლი მთელი ძალების კონსოლიდაციისა და შეკავშირების პროცესი.

ამბნანგმა რ. არისმენდიმ განაცხადა, რომ სავსებით უჭერს მხარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ღონისძიებებს სკკპ XXIV ყრილობაზე მიღებული მშვიდობის პროგრამის განხორციელებისათვის. მან ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა კავშირი, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები აპრ აწარიცელებენ აქტიურ საგარეოპოლიტიკურ კურსს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, უკიდურესად მემარჯვენე წრეების — „ცივი ომის“ მომხრეთა წინააღმდეგობის მიუხედავად, რომლებიც ისწრაფვიან ბამალებული ფეიერიდების განგრძობას და ომის მოქმარის გამოყენებას. მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები სულ უფრო მკვიდრდება საერთაშორისო პრაქტიკაში, როგორც სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიური სისტემის ქვეყნების ურთიერთობის საფუძველი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციამ ხადლობა გადაუხადა რ. არისმენდის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის ეთოდენ მაღალი შეფასებისათვის. ხაზგასმით აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია კვლავაც ითანამშრომლებს სოლიდარობის მორალურ-პოლიტიკურ საერთაშორისო ასპარეზზე მშვიდობის პროგრამის განხორციელებაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ურუგვაის კომპარტიის წარმომადგენლებმა გამოთქვეს აზრი, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე კიდევ უფრო უნდა შეკავშირდეს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის რიგები, ამასთან ხაზი გაუსვეს, რომ მოძმე პარტიათა წარმომადგენლების ორმხრივი და მრავალმხრივი შეხვედრები საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის განმტკიცების მნიშვნელოვანი საშუალებაა.

რ. არისმენდიმ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, მთელ საბჭოთა ხალხს 1975 წლის უსურვა ახალი დიდი წარმატებანი კომუნისტური მშენებლობის ამოცანების შესრულებასა და მშვიდობის პროგრამის შემდგომ განხორციელებაში.

შეხვედრამ ჩაიარა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ურუგვაის კომპარტიის ურთიერთობისათვის დამახასიათებელ გულითადობისა და მეგობრობის ატმოსფეროში.

## ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი შაკლიკის გაზაკონდენსატის საბადოსა და შატლიკ-ხივის მაგისტრალური გაზსადენის პირველი რიგის სიმძლავრეთა მუშენებლობასა და ათვისებაში**

შაკლიკის გაზკონდენსატის საბადოსა და შატლიკ-ხივის მაგისტრალური გაზსადენის პირველი რიგის სიმძლავრეთა მუშენებლობასა და ათვისებაში დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის **დაჯილდოდნენ:**

**სსრ კავშირის ორდენით „ოქტომბრის მამაცობისათვის“**

კაციაშვილი ივანე გიორგის-ძე — კასპის ელექტროაპარატის ქარხნის ამომრეელი.

**მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“**

მუეიდლაძე გურამ შალვას-ძე — კასპის ელექტროაპარატის ქარხნის ამწყობი ზეინკალი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

მ. ბიორკაძე.

მოსკოვი, კრემლი.

1975 წ. 10 იანვარი.

ᲛᲘᲡᲐᲑᲐᲫᲘ ᲗᲘᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔᲜᲘ

# დედამიწას უხარია

ᲯᲐᲡᲞᲘᲡ ᲪᲔᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲛᲣᲨᲐ, ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲘ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲑᲝᲠᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

სსრ კავშირის სახალხო მხატვარ ᲨᲐᲰᲐ ᲧᲐᲤᲐᲠᲘᲫᲘᲡ ნახატი.

ᲛᲘᲡᲐᲑᲐᲫᲘ ᲗᲘᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔᲜᲘ

ᲩᲐᲛᲘ თვალით რომ აზომავთ, სულაც არ იგუმანებთ დიდ მორკინალად. ერთი ტანმორჩილი კაცია, გამხდარი, გამოყვანილი, გაკენჭეული, თვალში საცემად დამშვრული სახე, დანატეხებული შუბლი და ღრმა თვალები გონებრივად მაშვრალს უფრო მოგაგონებთ. საწერ მაგიდას არასოდეს მოსჩრდილვია ლადო გორგიშელი, მაგრამ მასაც თავისი ფიქრის გორა აქვს. ხალხის სიკეთისათვის უთენებ-უღამებია, შრომაში გალევია სიცოცხლე და თავზე დაუდგამთ კაპაკაბის გვირგვინი, უჩინარი და ურუმარი, დიდი გარჯითა და დიდი გულით დაღირსებული.

დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო, დიდი ილიასი არ იყოს, ეს ანდაზა ისე არავისზე მინახავს გამართლებული, როგორც ლადო გორგიშელზე, თუნდა მისი მამის ნაკვალევს გაჰყოლოთ და თუნდა შვილის ცისარტყელას...

ოქროს მარჯვენა აქვსო იოსება გორგიშელსა, ოქროსი, — მადლიერებით იტყოდნენ მარტო მერეთში კი არა, მთელი ლიახვის სანავარდოში, და თვალუტყუარი კირითხუროც სიყვარულით აშენებდა სახლებს და უხაროდა, რომ მის ნაამაგარში დაბინავდებოდა მასავით წმინდა სისხლის ადამიანი, იქაც გადაირწყოდა აკვანი.

თვით იოსებას სახლშიც ბევრჯერ გადარწყულა აკვანი. შვიდი შვილის მამა შერქმევია და მეშვიდე ცაში აფრენილა სიხარულით.

შვიდი შვილიც ეუკმარისებოდა იოსებას.

— ათამდე უნდა ვიაროთ, ჩემო ოლა, ათამდე! — ეტყოდა-ხოლმე გახალისებულ მეუღლეს.

ერთგული მოგკირგეინე გამოუცნობ ღიმილს გადაივლებდა სახეზე.

— მრავალი შვილის პატრონი მტერს კი არა, სიკვდილსაც დაეჩოქებს!

— ჯერჯერობით ჩვენა ვართ დაჩოქილები ცხოვრებისაგან, ვეღარა და ვეღარ გავიმართეთ წელშია! — საყვედურს შეაპარებდა მეუღლე, — რომ მაჩენინებ და მაჩენინებ, რომელი ამოლახვარი შენა მყევხარ, რომ უდარდელად გამაზრდევინო...

— ამოლახვარიც შენ გენაცვალოს და ბაგრატიონიცა. იმათზე მდიდრები ჩვენა ვართ... ჩვენ ყოველდღე შვიდი მზე ამოგვდის, იმათ იქნება, თითოც ენატრებათ...

— მერე, შვიდი შვილი რომ ერთად წამოგვიშვერს დასეულ ფეხსაცმელსა?

— სამი ხელობა მაქვს, სამივე ღვთით ფალოცვილი, რა ღმერთი გამიწყრება, რომ ერთით ვერ გარჩინოთ. ღღეს გავადიდებ, მარჯვენას არ დავასვენებ და ლუკმა-პურს მაინც არ გამოგიღეთ. შენ კარგადა ყაავდე, თორემ ცხოვრებისა სულაც არ მეშინიან!

მაგრამ ერთგულმა მეუღლემ მალე „უღალატა“...

ნაადრევად დაქვრივებული იოსება არც ხიკვდილს გაუტყდა და არც ცხოვრებას შეუშინდა. პირიქთი, უფრო ღონივრად შეებერჯა ჯალაბობამოსაძრავად ოჯახს, ორივე მშობლის წილ დაჰგუგრგურებდა ერთმანეთზე მიყოლებულ შვილებს, რომლებსაც ადრევე ასწავლიდა შრომის ყადრს.

ბოლოოა შვილმა — ლადომაც ყმაწვილობაშივე იგემა ორთქლიანი ბელტის სურნელება და ზედ დაღვრილი ოფლის გემო. ოთხი კლასის ცოდნა ამყოფინა ცხოვრებამ. ჯერ თორმეტი გაზაფხულიც არ მიეთვალა, რომ „ისაია ფურცელაძის“ ბაღში დაიწყო მუშაობა. მალე შეირქვა „ყინაღი მორბედის“ სახელი. ღაუზარელი და გულმისაკალი ბიჭი ხელმარჯვე, და თვალეშმაკაც გამოდგა. მყნობას მიეჩვია, კი ხელი გამოიტანა, და გამოცდილ-აგრონომი ერმილე ნაჭყებია ვვერიდან აღარ იშორებდა. დაინტერესებული ბიჭი ყველაფერზე თვალსა და ყურს აცეცებდა. დოსტატებული მყნობელი მიწასთან ჭიდილშიც ხალისობდა და ხეხილის ლოლიაობაშიც. ერთიც და მეორეც ცოცხალი ადამიანივით უყვარდა, ეძრალებოდა, ეალერსებოდა, შეჰხაროდა, ღხინად უჩნდა მათზე ოფლის ღვრა.

ასეთ შრომა-გარჯაში ეწრთობოდა სხეულიც და სულიც.

რიგიანად რომ ამოუჯეჯილდა წვერ-ულვაში, კარგად რომ დავაკაცდა, მისმა ცხოვრებამაც ფერი იცვალა. — ჯარისკაცის ფარაჯა ჩაიცვა. მაგრამ ცხრა მთა კი არ გადაუტარებიათ, საქართველოში დატოვეს, ჯარისკაცმა თვალფარფოდ გადახედა ქვეყნიერებას, წვრთნას არ სჯერდებოდა, სწავლისკენ მიუწევდა გული, საათმეთაურო სკოლის მსმენელიც გახდა, ისიც მაღლიერებით დაამთავრა და შინისკენ ისტუმრებდნენ როგორც მარჯვე, დისციპლინიან, ყოველმხრივ სანდო და საიმედო ახალგაზრდას.

ის იყო ცხოვრების გზგასაყარს უნდა მიდგომოდა, რომ ფარაჯაგაუფდელ ჯარისკაცებს ერთი შეეერეკული ბაბუკი გამოეცხადათ. ეს გასდაცათ კასპელ კომკავშირელთა ლიღერი არტემ მესროფაშვილი, რომელმაც შეასთავაზა კასპში წასულიყვნენ სამუშაოდ. ბიჭებმა ერთმანეთს გაკვირვებით შეხედეს, ზოგმა უმალვე გაატანა ხელები. ზოგმა საეჭვოდ გადაიქნია თავი, ერთმა ნაწილმა კი სათმოდან ანახმანა ზამშებები.

მალე ოცდახუთკაციანი ჯგუფი, უკვე სამხედროელდებულება მოხდილნი, კასპის ცემენტის ქარხანას მიადგა. მათ შორის იყვნენ ქართლის სხვადასხვა სოფლების მკვიდრნი ბაგრატ ალავერდაშვილი, ილია ეამიტაშვილი, კოლა ქარქუსაშვილი, გიორგი ჭეხაშვილი და ვლადიმერ იოსების-ძე გორგიშელი.

ეს იყო 1930 წლის ბოლოს.

ამიერიდან ლადო გორგიშელის ცხოვრებაში მარადაც რომ ახალი ხანა იწყება. 25 წლის ეაეკაცი, ეშშვიდობება მამაპაპეულ სოფელ მერეთს და სამუდამოდ მკვიდრდება სოფელ კასპში, მინდორში ოფლის ღვრას მიჩვეული ცხელ საამქროში ირეჯება, ამავე წელს შეეიდა პარტიის რიგებში. ახალ გადასახედზე შედგა და სულ სხვა თვალით გადახედა ქვეყნიერებასაც, თავის გაბვილოსა და გასავლელ გზებს. იმ ხანებში კიდევ ერთი დიდი სიახლე მოსდა ლ. ს. ცხოვრებაში, რომელზეც ქვემორე ვიტყვით.

ლადო გორგიშელი რომ გაკასპელდა, ცემენტის ქარხნის საძირკველი სამიოდე წლის ჩაყრილი იყო და ზოგი საამქრო ისევ ხარაზოებში იჯდა. უკვე მრავალრიცხოვანი კოლექტივიც დიდ უმრავლესობას მშენებელი და მემონტაჟე ერქვა. სიტყვა „მეცემენტე“ ჯერ ისევ უცხო ხილი იყო. ახლა რომ ასე განებივრებულნი ვართ სამშენებლო ტექნიკით, მაშინ სად იყო მექანიზმები. ის უზარმაზარი საამქროები, ცხენიანი კიაკი რომ დაიღლება შემოვლით, და ნედლეულის მომწოდებელი კარიერი, სამიოდე კილომეტრის მოშორებით რომ გაუმართავთ მაკვირნის ნაპირას ალმაოთელ კირისფერ მთაზე, უშუალოდ ადამიანის მარჯვენით აშენდა, მთავარი იარადი იყო ბარი, ნიჩაბი, წერაქვი, ხელსაზიდი, მაზიდა, ჭაფრა, შალაშინი... კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ექსპონირებულია მაშინდელი დიდი ფოტოსურათები, როელზეც მოჩანს ცემენტის ქარხნის მშენებლობის დიდებული პანორამა. აქეთ ბაკის ფეშტამლიანი მუშები შემოჯეგუფულან, მაღალშუბლიანნი, გახუნებული ქუდები ჩამოუფხატავთ ოფლიან შუბლებზე, ნიჩბები მოუმარჯვებიათ და ქვიშა-კირს ურეკენ, იქით გრძელი კედლის ხარაჩოზე შეამოუულან კალატაზეები, ერთი ლარზე ასწორებს სიპ ქვას, მეორე თარაზოს დაშტერებია, მესამე წელში ამართულა და რაღაცას ყვირის დამკლავებული.

„ეუთხის ქვა მიატან!“

„კირი!“

„ხურდა-ქვა!“ — ამას თუ შესძახებდა ალბათ.

